

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი
სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის
თვითშეფასების ფორმა**

დაწესებულების სახელწოდება	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის/ფაკულტეტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი Tsotne Mirtskhulava Water Management Institute of Georgian Technical University
საუნივერსიტეტო	✓
საფაკულტეტო	☐
მისამართი (ქუჩა, №, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ი. ჭავჭავაძის გამზ. 60 ^ბ , 0179, ქ. თბილისი, საქართველო
დაწესებულების ელ-ფოსტა	gwmi1929@gmail.com
ხელმძღვანელი	აკადემიკოსი გივი გავარდაშვილი
მობილური ტელეფონი	593153470
ელ-ფოსტის მისამართი	givi_gava@yahoo.com

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

შენიშვნა: ივსება მხოლოდ უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) მიერ

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. წყლის რესურსების უსაფრთხოება და ინტეგრირებული მართვა კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით. პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელი - გივი გავარდაშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი

I ქვემიმართულება - ბუნების სტიქიური მოვლენების მეცნიერული კვლევა, სენსიტიური უბნების ელექტრონული რუკების შედგენა GIS-ის ტექნოლოგიების გამოყენებით და გარემოს დაცვითი ღონისძიებების დამუშავება;

II ქვემიმართულება - კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეული შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და მთის წყალსაცავიანი სისტემების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება, ინოვაციური, ჰიდროსაიზოლაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, ნაპირსამაგრი ტექნოლოგიების დამუშავება;

III ქვემიმართულება - საქართველოს წყლის რესურსების მართვის თანამედროვე ოპტიმალური მეთოდების დამუშავება ირიგაციის პირობებში;

IV ქვემიმართულება - კოლხეთის დაბლობსა და ალაზნის დამლაშებული ნიადაგების პირობებში მელიორაციული სისტემების ინტეგრირებული მართვა;

V ქვემიმართულება - წყლის რესურსების სტანდარტისა და ხარისხის კვლევა გარემოსდამცავი ღონისძიებების მხედველობაში მიღებით;

VI ქვემიმართულება - ინოვაციური მეცნიერული კვლევები (კვლევები ხორციელდება ინსტიტუტის ჰიდრავლიკურ ლაბორატორიასა და ბუნებრივ ლანდშაფტებში).

05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა

0712.1.1 - გარემოს ინჟინერია

0719.1.6 - აგროინჟინერია

0811.2.7 - სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია

0531 - ქიმია

0532.1.3 - გეოლოგია

0511.2.5 - მიკრობიოლოგია

0532.1.1 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

0532.2.1 - გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიები

0532.2.2 - ჰიდროლოგია

0532.2.3 - ატმოსფერული მეცნიერებები

0532.2.4 - ჰიდროგეოლოგია

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2020-2025 წწ.

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

გივი გავარდაშვილი – მთავარი მეცნიერი, აკადემიკოსი - პროექტის ხელმძღვანელი

1. რობერტ დიაკონიძე - გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი), მთავარი მეცნიერი, პროფესორი - I ქვემიმართულების ხელმძღვანელი;

2. ირინე იორდანიშვილი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიერი - II ქვემომართულების ხელმძღვანელი; ლევან იტრიაშვილი – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი), მთავარი მეცნიერი - თანახელმძღვანელი;
 3. შორენა კუპრეიშვილი - მთავარი მეცნიერი, ასოც. პროფესორი, ტექნ. აკად. დოქტორი – III ქვემომართულების ხელმძღვანელი;
 4. ვლადიმერ შურდია - მთავარი მეცნიერი, ტექნ. აკად. დოქტორი - IV ქვემომართულების ხელმძღვანელი; მარტინ ვართანოვი - მთავარი მეცნიერი, ეკონ. მეცნ. დოქტორი და მარინე შავლაყაძე – მეცნიერი თანამშრომელი, ქიმიური და ბიოლ. ინჟ. აკად დოქტორი – თანახელმძღვანელები;
 5. თამრიკო სუპატაშვილი - მეცნიერი თანამშრომელი, აგროინჟინერიის აკად. დოქტორი, ასოც. პროფ. - V ქვემომართულების ხელმძღვანელი;
 6. გივი გავარდაშვილი - მთავარი მეცნიერი, აკადემიკოსი - VI ქვემომართულების ხელმძღვანელი;; ედუარდ კუხალაშვილი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიერი, პროფესორი - თანახელმძღვანელი.
- ინსტიტუტის მთლიანი სამეცნიერო კადრის შემადგენლობა.

კვლევითი პროექტის 2023 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი ითვალისწინებს თეორიულ, საველე-ექსპერიმენტალურ და ლაბორატორიულ კვლევებს, წყლის რესურსების მარაგის ინტეგრირებული შეფასებისთვის და მისი მდგომარეობის პროგნოზირებისათვის, წყლის დანაკარგების შემცირების მეთოდების და საინჟინრო ნაგებობების პროექტირება-ექსპლუატაციის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის დროს. შესაბამისად, პროექტი აერთიანებს სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და საპროექტო მეთოდოლოგიის თეორიულ და ტექნიკურ მიღწევებს, მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებს, პროექტირების ნორმებს და წესებს, საქართველოს წყლის კანონმდებლობის ორგანიზაციულ და იურიდიულ ასპექტებს, რომელიც ეხმარება UNESCO - ს საერთაშორისო მე-8 პროგრამის დირექტივებს.

1¹. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

შენიშვნა: ივსება მხოლოდ უნივერსიტეტის სასწავლო ერთეულის მიერ

- 1.1.
 - 1) გარდამავალი(მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
 - 1.
 - 2.
 - 2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
 - 1.
 - 2.
 - 3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
 - 1.
 - 2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 20-- წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1.2.

1) დასრულებული

პროექტის დასახელებამეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

შენიშვნა: ივსება მხოლოდ უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) მიერ

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

1. ბუნების სტიქიური მოვლენების მეცნიერული კვლევა, სენსიტიური უბნების ელექტრონული რუკების შედგენა GIS-ის ტექნოლოგიების გამოყენებით და გარემოს დაცვითი ღონისძიებების დამუშავება;

05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა,

0712.1.1 - გარემოს ინჟინერია;

0532.1.1 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები;

0532.2.1 - გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიები;

0532.2.2 - ჰიდროლოგია;

0532.2.3 - ატმოსფერული მეცნიერებები;

0532.2.4 - ჰიდროგეოლოგია;

2. კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეული შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და მთის წყალსაცავიანი სისტემების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება, ინოვაციური, ჰიდროსაიზოლაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, ნაპირსამაგრი ტექნოლოგიების დამუშავება;

2.1. „საქართველოს მთის წყალსაცავების სედიმენტაციურ-აბრაზიული პროცესების შეფასება, ახალი აბრაზიის საწინააღმდეგო კონსტრუქციის - მოდიფიცირებული ტეტრაბლოკის და ჰიდროსაიზოლაციო ტექნოლოგიების დამუშავება“.

05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა

0532.1.1 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები.

3. „საქართველოს წყლის რესურსების მართვის თანამედროვე ოპტიმალური მეთოდების დამუშავება ირიგაციის პირობებში“

05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა

0719.1.6 - აგროინჟინერია

0811.2.7 - სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია

0532.1.1 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

0532.2.3 - ატმოსფერული მეცნიერებები

4. „კოლხეთის დაბლობსა და ალაზნის დამლაშებული ნიადაგების პირობებში მელიორაციული სისტემების ინტეგრირებული მართვა“

05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა

0719.1.6 - აგროინჟინერია

0811.2.7 - სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია

0532.1.1 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

0532.2.3 - ატმოსფერული მეცნიერებები

5. „მდინარე ყვირილის წყალშემკრებ აუზში საწარმოო ნარჩენებისა და უსაფრთხო განთავსების, უტილიზაციისა და გაუვნებლყოფის კვლევა“

0712.1.1 - გარემოს ინჟინერია

0811.2.7 - სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია

0531 - ქიმია

0532.1.1 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

0532.2.2 - ჰიდროლოგია

0532.2.3 - ატმოსფერული მეცნიერებები

6. „ინოვაციური მეცნიერული კვლევები (კვლევები ხორციელდება ინსტიტუტის ჰიდრავლიკურ ლაბორატორიასა და ბუნებრივ ლანდშაფტებში)“

0712.1.1 - გარემოს ინჟინერია

0719.1.6 - აგროინჟინერია

0811.2.7 - სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია

0532.1.3 - გეოლოგია

0532.1.1 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

0532.2.1 - გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიები

0532.2.2 - ჰიდროლოგია

0532.2.4 - ჰიდროგეოლოგია

2020-2025 წწ.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2020-2025 წწ.

2. 2020-2025 წწ.

3. 2020-2025 წწ.

4. 2020-2025 წწ.

5. 2020-2025 წწ.

6. 2020-2025 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.1. რობერტ დიაკონიძე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - ხელმძღვანელი;
- 1.2. ჯუმბერ ფანჭულიძე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - შემსრულებელი;
- 1.3. ლევანი წულუკიძე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - შემსრულებელი;
- 1.4. თემურ ბუტულაშვილი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - შემსრულებელი;
- 1.5. ქეთევან დადიანი, მეცნიერ თანამშრომელი - შემსრულებელი;
- 1.6. ირმა ქუფარაშვილი, მეცნიერ თანამშრომელი - შემსრულებელი;
- 1.7. ნინო ნიბლაძე, მეცნიერ თანამშრომელი - შემსრულებელი;
- 1.8. მეგი გლუნჩაძე, მეცნიერ თანამშრომელი - შემსრულებელი;
- 1.9. ირინა ხუბულავა, მეცნიერ თანამშრომელი - შემსრულებელი;
- 1.10. ლიკა მასისაია, მეცნიერ თანამშრომელი - შემსრულებელი.

- 2.1. ირინა იორდანიშვილი - პროექტის II ქვემომართულების ხელმძღვანელი;
- 2.2. ლევან იტრიაშვილი - თანახელმძღვანელი;
- 2.3. კონსტანტინე იორდანიშვილი - შემსრულებელი;
- 2.4. ელენე ხოსროშვილი - შემსრულებელი;
- 2.5. დავით ფოცხვერია - შემსრულებელი;
- 2.6. გიორგი ომსარაშვილი - შემსრულებელი;
- 2.6. ლალი ბილანიშვილი - შემსრულებელი.

- 3.1. შორენა კუპრეიშვილი - პროექტის III ქვემომართულების ხელმძღვანელი;
- 3.2. პაატა სიჭინავა - ძირითადი შემსრულებელი;
- 3.3. მარინა მაჭარაშვილი - ძირითადი შემსრულებელი;
- 3.4. ხათუნა კიკნაძე - ძირითადი შემსრულებელი;
- 3.5. ლენა კეკელიშვილი - ძირითადი შემსრულებელი;
- 3.6. თამაზ ოდილაშვილი - ძირითადი შემსრულებელი;
- 3.7. მაია კიკაბიძე - ძირითადი შემსრულებელი;
- 3.8. გიორგი ნატროშვილი - ძირითადი შემსრულებელი;

- 4.1. ვლადიმერ შურღაია - პროექტის IV ქვემომართულების ხელმძღვანელი;
- 4.2. მარტინ ვართანოვი - თანახელმძღვანელი;
- 4.3. მარინე შავლაყაძე - თანახელმძღვანელი;
- 4.4. ერეკლე კეჩხოშვილი - ძირითადი შემსრულებელი;
- 4.5. ფერიდე ლორთქიფანიძე - ძირითადი შემსრულებელი;
- 4.6. გიორგი კაკაშვილი - ძირითადი შემსრულებელი;
- 4.7. ოლღა ხარაიშვილი - ძირითადი შემსრულებელი;
- 4.8. ჯემალ მიგინეიშვილი - ძირითადი შემსრულებელი.

- 5.1. თამრიკო სუპატაშვილი - პროექტის V ქვემომართულების თანახელმძღვანელი;
- 5.2. სოფიო მოდებაძე - ძირითადი შემსრულებელი;
- 5.3. მარინე შავლაყაძე - ძირითადი შემსრულებელი;
- 5.4. ფერიდე ლორთქიფანიძე - ძირითადი შემსრულებელი.

- 6.1. გივი გავარდაშვილი - პროექტის VI ქვემომართულების ხელმძღვანელი;
- 6.2. ედუარდ კუხალაშვილი - თანახელმძღვანელი;

- 6.3. დავით კერესელიძე - შემსრულებელი;
- 6.4. ინგა ირემაშვილი - შემსრულებელი;
- 6.5. ნუგზარ კვაშილავა - შემსრულებელი;
- 6.6. ირაკლი კვირკველია - შემსრულებელი;
- 6.7. სოფიო მოდებაძე - შემსრულებელი;
- 6.8. კონსტანტინე ბზიავა - შემსრულებელი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. ღვარცოფული ხარჯების საანგარიშოდ დღემდე შემოთავაზებულ დამოკიდებულებებში წარმოდგენილი მახასიათებლები (ფაქტორები): აუზის დახრილობა, აუზის ფართობი, ნაკადის სიჩქარე, კალაპოტის დახრილობა და სხვ., მართალია, მნიშვნელოვნად განაპირობებს ღვარცოფული ნაკადების ხარჯის ფორმირებას, მაგრამ მათი გამოყენების შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ზოგიერთი გარემოება. ასე მაგალითად, ღვარცოფული ნაკადის სიჩქარეების განსაზღვრა პრაქტიკულად ძალზე რთულია, კალაპოტის დახრილობა მდინარის დინების მიმართულებით მრავალჯერ განიცდის მკვეთრ ცვლილებას, აუზის ფართობი კი, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს ღვარცოფული ნაკადის ფორმირების ფაქტორად, რადგანაც ძირითადი მდინარის აუზის ფართობი შეიძლება დიდი იყოს, ღვარცოფული ნაკადი შეიძლება მისი კალაპოტის შენაკადზე წარმოიშვას. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მახასიათებელი – წყალშემკრები აუზის სიმძლავრე (N), ფაქტობრივად, თავისთავად შეიცავს ორ მახასიათებელს (წყლის ხარჯი და აუზის საშუალო სიმძლავრე), რაც შეეხება წყლის მოცულობით წონას, ის მუდმივი სიდიდეა. წყლის ხარჯების საანგარიშოდ არსებობს წყლის ზედაპირული ჩამონადენის მოდულის რუკები, ხოლო საშუალო სიმაღლეთა განსაზღვრა შეიძლება დიდმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკებიდან, რაც საკმაოდ მარტივია. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ეს მახასიათებელი უფრო განსაზღვრავს ღვარცოფული ნაკადების ფორმირების ფიზიკურ არსს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მდინარის აუზს გააჩნია პოტენციური სიმძლავრე რაღაც სამუშაოს შესასრულებლად და, იმ შემთხვევაში, თუ წყალშემკრებ აუზში დაგროვებული იქნება გარკვეული რაოდენობის ღვარცოფული მასალა, აუზის შესაბამისი სიმძლავრე განაპირობებს მყარი ნატანის შესაბამისი რაოდენობის ტრანსპორტირებას. მოცემულ მომენტში აუზს შეიძლება გააჩნდეს დიდი პოტენციური სიმძლავრე ღვარცოფული მასალის წარმოქმნისა და მისი ტრანსპორტირებისათვის, მაგრამ არ იყოს დაგროვებული შესაბამისი რაოდენობის ღვარცოფული მასალა, რომლის გამოტანასაც ის შეძლებდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ გვაქვს იმის გარანტია, რომ რაღაც დროის განმავლობაში დაგროვებული ღვარცოფული მასალის (ეროზიული მოქმედების შედეგად) რაოდენობა არ იქნება შესაბამისი იმ სიმძლავრისა, რომლის ტრანსპორტირებაც მდინარეს შეუძლია. ამიტომ მნიშვნელოვანი ჰიდროტექნიკური თუ სხვა სახის ობიექტების მნიშვნელობისას უნდა იქნეს გათვალისწინებული მდინარის აუზის მაქსიმალური შესაძლებლობა ღვარცოფული ნატანის ტრანსპორტირებისათვის. აქედან გამომდინარე, ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს აზრს, რომ მეთოდულად, რომლის შემოთავაზებასაც ჩვენ ვაპირებთ ღვარცოფული ნაკადის ხარჯების საანგარიშოდ, გამოყენებულ იქნეს მდინარეთა წყალშემკრები აუზის პოტენციური სიმძლავრის ფაქტორი.

განხორციელებული სამუშაოსა და მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ აუზის პოტენციური სიმძლავრე ფიზიკურად იმდენად კარგად გამოსახავს ღვარცოფული ნაკადის ხარჯის ფორმირების სტრუქტურას, რომ, ჩვენი აზრით, მიღებული სახის დამოკიდებულებების გამოყენება შესაძლებელია სტრუქტურული ღვარცოფების ნაკადების ხარჯების საანგარიშოდაც. ეს ვარაუდი განამტკიცა ჩვენმა ექსპერიმენტმა (დევდორაკის მაგალითზე), როცა სტრუქტურული ღვარცოფის შემთხვევაში ჩვენ მიერ მიღებული დამოკიდებულებების გამოყენებით ხარჯის გამოთვლისას

დამაკმაყოფილებელი შედეგი მივიღეთ. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ, მართლია, რიგ შემთხვევაში ღვარცოფული მასის დამტვრევა შეიძლება გამოიწვიოს სხვა მექანიკურმა ან ბუნებრივმა ძალებმა როგორცაა: მიწისძვრა, მეწყერი, აფეთქება, ჩახერგვის შედეგად წარმოშობილი ტბების, ან თუნდაც წყალსაცავების მოულოდნელი გაგლეჯა და ა.შ., მაგრამ, აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ღვარცოფული მასის შემდგომი ტრანსპორტირებისათვის მას აუცილებლად სჭირდება რაღაც ძალა, რომელიც განაპირობებს მის მოძრაობას. ჩვენი აზრით, ასეთ ძალას სწორედ წყალშემკრები აუზის პოტენციური სიმძლავრე წარმოადგენს.

საბოლოოდ, შესაბამისი კვლევების საფუძველზე მიღებული იქნა ღვარცოფული ხარჯის პროგნოზული სიდიდეების საანგარიშო ემპირიული ფორმულები:

როცა : $N \leq 1000$ მლნ.ვტ, მაშინ

$$Q_{\text{ღვ.1\%მ}^3/\text{წმ}} = 0,06N + 2,0;$$

როცა : $N \geq 1000$ მლნ.ვტ, მაშინ

$$Q_{\text{ღვ.1\%მ}^3/\text{წმ}} = 0,08N + 45;$$

ჩამონადენის სიდიდის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მდინარის აუზის წყალშემკრები ფართის მორფომეტრიული პარამეტრების განსაზღვრა. ადრინდელ პერიოდში მთის პატარა მდინარეთა დაქსელილი ფართობებისათვის სპეციალური კვლევები ძალიან ცოტა იყო. ან თითქმის არ არსებობდა და ჩამონადენის ფაქტორებზე დაკვირვებათა ძირითადი უმრავლესობა ეკუთვნოდა დიდი წყალშემკრები აუზებიდან ჩამონადენის წარმომქმნელ ფაქტორთა კვლევებს. ასეთი გაანგარიშებით მიღებული სიდიდეები ნაკლებად გამოსადეგია ფართობებისათვის, რომლებიც გაცილებით მცირე ზომისაა და თანაც დაქსელილი (რაც მნიშვნელოვნად ზრდის ჩამონადენს).

აქედან გამომდინარე, ეფექტური ნალექების განსაზღვრა, რომელიც ჩამონადენს ქმნის, უფრო საფუძვლიანია მოხდეს ნალექებისა და ინფილტრაციის მრუდის მიხედვით ეფექტური ნალექებისა და ინფილტრაციის ინტენსივობათა სხვაობით. მაგრამ, ინფილტრაციის მრუდის მიხედვით ეფექტური ნალექების პრაქტიკულად განსაზღვრის სირთულემ, განსაკუთრებულად ნაკლებად შესწავლილი აუზებისათვის, ის შედეგი გამოიწვია, რომ ძირითადად მისი განსაზღვრა ხდება ჩამონადენის კოეფიციენტის სახით. რაც შეეხება კონკრეტული საკვლევი ობიექტისათვის მდინარეების წყლის ნაკადის საანგარიშო უზრუნველყოფის მაქსიმალური სიჩქარეების გაანგარიშებას, ის დაზუსტებული უნდა იქნას უშუალოდ ამ საკვლევი ობიექტისათვის ექსპედიციური დაკვირვების მასალების დამუშავების შედეგად. სავსე კვლევების შემდგომ შესაძლებელია კორექტირებისა და გაანალიზების შედეგად, მივიღოთ რეალური სიჩქარეების, რეალური წყალშემკრები აუზის ფართის საანგარიშო ნალექების, ჩამონადენის კოეფიციენტის მნიშვნელობანი და პროგნოზი გავაკეთოთ მოსალოდნელ საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის ხარჯზე.

შემოთავაზებულ წყლის ხარჯის ფორმულას აქვს იდენტური სახე, რაც გენეტიკურ ფორმულებს, თუმცა აღნიშნულ გამოსახულებაში წყალშემკრები ფართი ჩაწერილია შემდეგი ინტერპრეტაციით - $F = tv \cdot b$, სადაც წყალშემკრები აუზის ფართობი $F = Lb$, ხოლო $L = tv$, შესაბამისად, ვღებულობთ შემდეგ დამოკიდებულებას:

$$Q_i = \frac{P}{T} t v b \alpha \varphi \text{ მ}^3/\text{წმ}$$

სადაც, P - საანგარიშო უზრუნველყოფის ნალექებია (მმ),

T - ნალექების ხანგრძლივობა (სთ),

t - მიმდინარე დრო - ჩამონადენის დაწყებიდან (სთ),

v - ნაკადის სიჩქარე (მ/წმ),

b - წყალშემკრები აუზის ფართის სიგანე (კმ),

α - ჩამონადენის კოეფიციენტი,

φ - ჩამონადენის ჰიდროგრაფის დარეგულირების კოეფიციენტი.

2. კვლევების ჩატარება განპირობებულია საქართველოში ახალი მთის წყალსაცავების მშენებლობითა და ბოლო წლებში განვითარებული მასშტაბური ბუნებრივი კატაკლიზმებით, როგორიცაა წყალდიდობები, მეწყერები, სანაპირო ფერდობების წარეცხვა, წყალსაცავების ტაფობის დაღამვა და მოსიღვა, ღვარცოფული მოვლენები და კაშხლების შესაძლო გარღვევები. აღწერილი და გაანალიზებულია უძველესი დროიდან შექმნილი წყალსაცავები და მათი ძირითადი მაჩვენებლები, მოყვანილია მსოფლიოს წყალსაცავების რაოდენობისა და სრული მოცულობის დინამიკა. გამოყოფილია მთისა და მთისწინეთის წყალსაცავების უპირატესობა ვაკის წყალსაცავებთან შედარებით. აღნიშნულია, რომ საქართველო იმ ქვეყნებს ეკუთვნის, რომელსაც ჰიდრორესურსებით შეუძლია ენერგეტიკისა და ირიგაციის მოთხოვნილებები თვითონ უზრუნველყოს, რაც ჰიდროტექნიკური კვანძების დამპროექტებლების ძირითადი ამოცანაა.

მაღალმთიან რეგიონებში ელექტროენერგიის მისაღებად ყველაზე რაციონალური სქემაა მთავარი მდინარისა და მისი შენაკადების სათავე ნაწილში მაღალდაწნევიანი დანადგარების მოწყობა, ხოლო მდინარის ქვედა ნაწილში – ირიგაციის. როგორც წესი, მთის მდინარეების სათავე ნაწილი განლაგებულია ღრმა და ციცაბო ფერდობებიან ხეობებში. ამიტომ, აქ მიზანშეწონილია მაღალი კაშხლების აგება, ხოლო ქვედა ბიეფის ფართობები, რომლებიც გამოირჩევა მცირე დახრილობით გამოიყენება მოსარწყავად. მიზანშეწონილია საქართველოს ტერიტორიაზე ღრმა წყალსაცავების აგება, რომლებიც გამოირჩევა ტერიტორიის მცირე ფართობის დატბორვითა და უმნიშვნელო ეკოლოგიური პრობლემებით.

დასმული საკითხების შესწავლის მიზნით აუცილებელი გახდა მსოფლიოსა და საქართველოს ტერიტორიაზე აგებული წყალსაცავების ფონდის დახასიათება, ფსკერზე სედიმენტაციური და ნაპირების აბრაზიული პროცესების ცნობილი კვლევების ანალიზი.

საქართველოში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციებიდან მოპოვებული მონაცემების შესწავლის საფუძველზე შედარებულია შვიდი მსხვილი წყალსაცავის (სიონის, თბილისის, ჟინვალის, ხრამის, შაორის, ლაჯანურისა და ტყიბულის) საპროექტო გეგმები და პროფილები. საველე სამუშაოების საფუძველზე ჩატარდა ამ წყალსაცავების ფსკერისა და ნაპირების ამჟამინდელი პროფილების აგებმა და მათი დატანა საპროექტო პროფილებზე. დადგინდა ზემოთ ჩამოთვლილი წყალსაცავების სედიმენტაციური და აბრაზიული პროცესების მასშტაბები და დინამიკა. გამოყვანილია მათი მრავალფაქტორიანი საანგარიშო პროგნოსტიკული დამოკიდებულებები პერიოდის, ნაპირების ფიზიკურ-მექანიკური აგებულების, ქარ-ტალღური, დონური რეჟიმისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

განხილულია მთის წყალსაცავების ფსკერზე სედიმენტაციური პროცესების განვითარების გამაფრთხილებელი და საექსპლუატაციო ღონისძიებები. მითითებულია, რომ წყალსაცავების ფსკერის გაწმენდის ყველაზე გავრცელებული მეთოდია – კაშხლების ძირში გამრეცხი გალერეების მოწყობა. აღნიშნულია, რომ საქართველოს წყალსაცავების ფსკერის ნატანისგან ეფექტური ჰიდრავლიკური ჩარეცხვა ჯერ არც ერთ წყალსაცავზე არ განხორციელებულა.

დამუშავებულია მთის წყალსაცავების აბრაზიული ნაპირების წარეცხვისაგან დამცავი ახალი კონსტრუქცია – მოდიფიცირებული „ჰექსაბლოკი“, რომელიც გამოირჩევა მაღალი ტალღაჩამქრობი უნარითა და ურთიერთშეჭიდულობით, ფერდზე ტალღების აგორების სიმაღლის შემცირებით. გაანგარიშებულია ამ მასივის ოპტიმალური მასის დასადგენი უნივერსალური დამოკიდებულება.

განხილულია მთის წყალსაცავების დაცლის ან შევსების დროის ანგარიში მდინარიდან ჩამოდინებული და ღიობიდან გადინებული წყლის მუდმივი ხარჯების დროს. მოყვანილია სიონის წყალსაცავის სრული დაცლის პერიოდის გაანგარიშების მაგალითი. გრანტის დაფინანსებით 2023 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფია: იორდანიშვილი კ., იორდანიშვილი ი., ირემაშვილი ი., კანდელაკი ნ. „მთისა

და მთისწინეთის წყალსაცავების საინჟინრო-ეკოლოგიური პრობლემების თავისებურებანი“, თბილისი, „საჩინო“, 2023, 289 გვ.

3. საქართველოში მიწების მორწყვას დიდი ისტორიული წარსული აქვს. სამელიორაციო ფართობების ექსპლუატაციიდან გამომდინარე, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროცესი სარწყავად გამოყენებული წყლის როგორც ნორმების ეფექტური დაცვით გამოყენებას, ასევე არსებული სისტემის მდგრადობის რესურსების ამაღლებას საჭიროებს.

სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების უსაზღვრო რესურსის მიუხედავად, წყლის ირიგაციაში დაბალი ტექნოლოგიებით განაწილების გამო სასოფლო-სამეურნეო ფართობების დიდი ნაწილი გამოყენებულ და დაუშუშავებელ მდგომარეობაში ყოფნასთან ერთად განიცდის ტენიანობის დეფიციტს. ბუნებრივ-კლიმატური პირობების სხვადასხვა მასშტაბებით მიწათმოქმედებაზე ზემოქმედებას და ირიგაციული მელიორაციის დაბალი დონის მიუხედავად ნიადაგის პოტენციალიდან გამომდინარე მაინც ადგილი აქვს ბოსტნეულის, ხილის, მარცვლეულის წარმოებას. როგორც ირიგაციაში სარწყავად მიწოდებული წყლის ანალიზით იკვეთება სარწყავი სისტემიდან საშუალო ფაქტობრივი წყალმოწოდება 1 ჰა-ზე სადღეისო მონაცემებით შეადგენს 55,6 %. აღნიშნული 3-ჯერ ჭარბობს სარწყავად მიწოდებული წყლის საჭირო სიდიდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა საირიგაციო სისტემის ეფექტიანობა. ამასთან ერთად სარწყავი ფართობების ტენიანობის შესწავლის ანალიზი სარწყავ ფართობზე მისი გადანაწილების თანაბრობის სურათი არ პასუხობს მაღალ რისკებს. აღნიშნული ნიადაგ-გრუნტში წყლის მიგრაციის როგორც ანომალურობით, ისე მათ ტანში მრავალსახეობის არსებობითაა გამოწვეული. სადისერტაციო ნაშრომში კვლევები, რომელიც ირიგაციის პრობლემას ეხება სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების საანგარიშო მახასიათებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფასა და ნიადაგით წყლის შთანთქმის შესაძლებლობების შეფასების საანგარიშო პარამეტრების დაზუსტებაზეა ორიენტირებული.

ნიადაგის ტენის ენერგეტიკის ცვლილება ისეთ შემთხვევაშია მოსალოდნელი, როცა მისი მიწისქვეშა წყლების ჰიდრავლიკის ცვლილებასა და ტენის მდგრადობის რღვევას აქვს ადგილი. ნიადაგის სტრუქტურული ცვლილება მისი ფორმის ცვლილებაზე დახარჯულ ენერგიასთანაა დაკავშირებული და სარწყავი წყალი ასეთ შემთხვევაში ზედაპირული მორწყვის პროცესში ტალღის ფორმით ყალიბდება.

ნიადაგ-გრუნტის ტენის რეგულირების პროცესის შეფასების დროს ფილტრაციული ნაკადის დინამიკასთან ერთად აუცილებელია ნიადაგის ფოროვანი სივრცის გეომეტრია იყოს შესწავლილი. მოვლენის სირთულიდან გამომდინარე, წყალჟონვადობის მახასიათებლების შესწავლას, მიწისქვეშა წყლების ჰიდრავლიკასა და ნიადაგ-გრუნტის გეომეტრიას შორის კავშირის დამყარებას, საანგარიშო დამოკიდებულებების სრულყოფას უამრავი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს და მნიშვნელოვანია კვლევების ის სერია, რომელიც მიწისქვეშა წყლების ფორმირებასთანაა დაკავშირებული.

ზედაპირული მორწყვის დროს სარწყავი წყლის ჰიდრავლიკის შესწავლა და პროცესის შეფასება განსაკუთრებულ მდგომარეობას და ოპერატიული საშუალებების შერჩევის აუცილებლობასთანაა დაკავშირებული. უამრავი ურთიერთმართვადი ფაქტორის პროცესში მონაწილეობის გამო ბოლო დროის კვლევის მონაცემებით წნევის ცვლილების განმსაზღვრელ კრიტერიუმად მოძრაობის სიჩქარეა გამოყენებული.

სადღეისო მდგომარეობით ნიადაგ-გრუნტში სითხეების დინების შესწავლის მიზნით განსხვავებული მეთოდი და მეთოდოლოგიაა გამოყენებული, ხოლო ეფექტურობის დაზუსტების მიზნით მრავალი ექსპერიმენტი და თეორიული კვლევაა გამოყენებული. აქედან გამომდინარე, არსებული კვლევის მასალებით წყალჟონვადობის მახასიათებლების დაზუსტებას აქვს, როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო დატვირთვა.

კვლევები, რომელიც ნიადაგების წყალჟნადობაზეა ორიენტირებული, დაგეგმილია საკვლევი ფაქტორების სიდიდეების კავშირების იმიტაციით და მოქმედი ფაქტორების მოდელების ადაპტაციით მოვლენასთან.

ძირითად შესასწავლ ფაქტორზე მოქმედი კავშირების დამყარება მოვლენის კიბერნეტიკული წარმოდგენით არის მიღებული, ხოლო საძიებო სიდიდეების შესწავლა ცნობილი მეთოდებითა და მეთოდოლოგიის გამოყენებითაა დაგეგმილი.

ნიადაგ-გრუნტებში წყლის სხვადასხვა კატეგორიებად ფორმირების გამო მის ტანში არსებულის გადაადგილების ჰიდრაულიკა განსხვავებული ოპერატიული საშუალებების გამოყენების აუცილებლობას საჭიროებს. ნიადაგის ტანის ფოროვან სივრცეში წყლის გადაადგილება ან მოძრაობის შეწყვეტა ნაკადის მდგომარეობის რღვევასთანაა დაკავშირებული. მოვლენა კრიტიკულობით მაშინ არის გამორჩეული, როცა ნიადაგის მილოვანი სისტემის რადიუსი ბმული წყლის რადიუსის ტოლია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიადაგების ტენის რეგულირების დროს ყურადღებას იპყრობს ისეთი შემთხვევები, როცა გატენიანების წყაროდ მინერალიზებული წყლებია გამოყენებული.

მილოვანი სისტემის რადიუსის ბმული წყლის რადიუსთან ტოლობის განმსაზღვრელ ფაქტორად და მიგრირებული წყლის შემფოთების შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ფოროვანი სივრცის გეომეტრიული ცვლილება შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ფილტრაციულ ნაკადში შემფოთების ზონის შეფასების ოპერატიულ საშუალებებად უმეტესწილად კერძო წარმოებულნი დიფერენციალური განტოლებებია გამოყენებული, რომელთა ამოხსნის ოპერატიულ საშუალებებად წნევის, მოცულობის, სიმკვრივის ან სხვა ფაქტორების ცვლილებების ამსახველი დამოკიდებულებებია გამოყენებული.

მიწისქვეშა წყლების შესწავლის სირთულიდან გამომდინარე, ფოროვან სივრცეში მათი ქცევის შეფასების მეთოდოლოგიის შერჩევა უამრავ დაშვებებთანაა დაკავშირებული. უბეშ დაშვებათა შორის ფოროვანი სივრცის საკონტაქტო სიბრტყეში სიჩქარისა და წნევის მნიშვნელობების მუდმივობა და პროცესის აღწერის შემთხვევაში შეიძლება ერთ-ერთად მექანიკის კანონების იგნორირება იყოს მიღებული.

სითხის მოძრაობის მდგომარეობის რღვევის, თავისუფალი ზედაპირის უწყვეტი ან საფეხურებისებრი ფორმით ჩამოყალიბების, განმსაზღვრელ კრიტერიუმად წყლის ფორმირებული ზედაპირის ამპლიტუდა შეიძლება იყოს მიჩნეული.

როგორც მიწისქვეშა წყლების ჰიდროფიზიკის შესწავლით იკვეთება, ბუნებრივად განსხვავებული ნაკადების ანალიზური მეთოდებით საინჟინრო ოპერატიული საშუალებების გამოყენების აუცილებლობა ექსპერიმენტულ კვლევებთანაა დაკავშირებული.

მდგრადობის რღვევის შესაძლებლობაზე ნათელი წარმოდგენის დროს მეცნიერებათა დარგებიდან, კერძოდ, ქიმიიდან, ფიზიკიდან, ზოოლოგიიდან, ჰიდრომექანიკიდან უამრავი სახის მაგალითი შეიძლება იყოს მოყვანილი.

ერთ-ერთ ასეთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს ჯერ კიდევ 1992 წელს ა.მ. ლიაპუნოვის მიერ მოცემული და ფორმირებული დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის კრიტერიუმები. როცა სარწყავი წყლის მცირე ამპლიტუდიანი ტალღის ფორმით მოძრაობას აქვს ადგილი, მათი ენერგიის შეფასება მცირე ამპლიტუდის ტალღების თეორიით არის შესაძლებელი, ანალოგიური მიდგომები შეიძლება ადაპტირებული იქნეს ზედაპირული მორწყვის პროცესზე.

მიწისქვეშა სითხის მოძრაობა, როცა არის ნელგვლად დროში და პროფილის სიმრუდის ცვლილება ძალზე მცირეა, ასეთ შემთხვევაში წინააღდეგობის ძალების განსაზღვრა ცნობილი ფორმულების გამოყენებით წარმოებს. შესაბამისად, დიფერენციალურ განტოლებათა ინტეგრირება სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ზედაპირული მორწყვის პროცესის შეფასების სირთულე ხშირად ფართობის მინერალიზებული წყლებით, მორწყვითაც არის გამოწვეული და მათი სტაციონალურობის რღვევის შესაძლებლობა

ნიადაგის ზედაპირზე და მასში ჩაჟონვის დროს დინების განსაკუთრებულ შემთხვევებს შეესაბამება. ასეთ პირობებში მყოფი სარწყავი წყალი ხასიათდება რეჟიმების ცვლილებით და ძრაობის არამდგრადობით. აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სარწყავ პროცესსა და ფართობზე წყლის რესურსების ოპტიმალური გადანაწილების შესაძლებლობაზე.

საექსპერიმენტო-სადიებო ფაქტორის მოქმედთან კომპიუტერული იმიტაცია და ადაპტაცია, სადიებო ფაქტორის მოქმედთან კავშირის დამყარება, საანგარიშო დამოკიდებულების გამოყვანა, შედარება ექსპერიმენტით დაფიქსირებულ სიდიდესთან ცნობილი სტანდარტული მეთოდების გამოყენებითაა დაგეგმილი.

მორწყვის ტექნიკის ელემენტების გაანგარიშების თანამედროვე მოდელები გამონაკლისის გარდა მელიორაციული სისტემების პრაქტიკაში დღესაც ემყარება ფილტრაციის ხაზოვან კანონზე დაყრდნობილ მოდელებს.

ყველა მოდელით ზედაპირული მორწყვის პარამეტრების ფორმულირება ნიადაგ-გრუნტის მინერალური ნაწილაკების შორის საშუალო დიამეტრთანაა დაკავშირებული, რომლის სიდიდე მარცვლების ზომის 20 %-ით არის განსაზღვრული.

მორწყვის პროცესის სრულყოფილი მოდელის შექმნა და მცენარის დაკნინების გარეშე ბიოლოგიური პროცესების მართვა, ნიადაგ-გრუნტების სპეციფიკური ჰიდროფიზიკური თვისებებისა და ფილტრაციულ-კაპილარული ანომალიების ფორმულირება სრულყოფილი მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი. აღნიშნული წარმოდგენილი ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებათა კომპლექსთანაა დაკავშირებული.

აღნიშნულის დასტურს რწყვის პროცესის შეფასების საანგარიშო ფორმულებით ერთი და იმავე პირობებისათვის მიღებული საკმაოდ განსხვავებული შედეგები წარმოადგენს, რომელიც ნიადაგის დამუშავების ხარისხით შეიძლება იქნეს ახსნილი.

სარწყავად გამოყენებული წყლის ზედაპირის ფორმირებაში გავლენას ახდენს ფართობის ქანობი, ხორკლიანობა, ნიადაგის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები, დანაპრალების ხარისხი, მცენარეული საფარი და სხვა. გამოყენებული ზედაპირული მორწყვის შესაბამისად, რომელიც ზოლებად, კვლებში მიშვებით და დაწვიმებით მორწყვის სახეებით არის ცნობილი, შეფასების ოპერატიულ საშუალებებად ჰიდრაულიკური განტოლებებია მოცემული, რომელთა გამოყენების ზღვრების დაზუსტებას მნიშვნელოვანი როლი აქვს მათი ეფექტურობის შეფასებაში.

სარწყავი ფართობებიდან გამომდინარე, მოძრავი ნაკადის ჰიდრაულიკური წინააღმდეგობა, ზედაპირული ჩამონადენის ფორმირება, ძირითადი ჰიდრომექანიკური და მორფომეტრიული მახასიათებლების გავლენა ნიადაგში წყლის ჩაჟონვასა და ფილტრაციაზე მნიშვნელოვანია რწყვის პროცესის ეფექტურობის შეფასებაში.

4. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ჭარბტენიანი ნიადაგის ზედაპირის დაშრობა შეადგენს. დაჭაობებას ხელს უწყობს ფართობის უმნიშვნელო ქანობი, ზედაპირული წყალი, მოსული ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობა, ნიადაგის მძიმე მექანიკური შედგენილობა.

საკვლევი ობიექტი აბაშა – ზღვის დონიდან მდებარეობს 20-50 მ სიმაღლემდე. აგებულია მეოთხეული ნალექებით, უმთავრესად: თიხებით, რიყნარით, ქვიშებით. ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა გაბატონებული. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4.9°C , ივლისის $+22,9^{\circ}\text{C}$. ჰაერის საშუალო ტემპერატურაა 14°C . გაზაფხულზე იცის მოულოდნელი ყინვები. აქ გაბატონებულია პერიოდული ქარები, ძირითადად მუსინები. ხშირია ფიონები, ბრიზებიც.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტში სახნავი მიწები შემცირდა ძლიერი წვიმების, წყალმოვარდნის გამო, რამაც გამოიწვია ნიადაგების გადარეცხვა და წარეცხვა. მოსული თავსხმა წვიმების გამო, განადგურდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. 2018 წლის ზაფხულში,

რადგან სადრენაჟე სისტემა მწყობრიდან იყო გამოსული, უნდა აღინიშნოს რომ ხდება ნიადაგის მეორადი დაჭაობება, რაც არის საფუძველი ნიადაგის დეგრადაციისა და მოსავლიანობის შემცირების.

ყურადსაღებია 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები, არსებული 11979.5 ჰა სახნავი ფართობიდან, მოიხსნა 345.00 ჰა-ი. მუნიციპალიტეტში მწვავე მდგომარეობაა ნიადაგის შხამქიმიკატებით, პესტიციდებით დაბინძურების გამო, მოსახლეობა დიდი რაოდენობით იყენებს, მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ქიმიურ-მინერალურ სასუქებს, რაც თავის მხრივ ზრდის კიდევ მოსავლიანობას, მაგრამ აზიანებს ნიადაგს.

საკვლევი ობიექტი სენაკის მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე მდინარე ტეხურას მარჯვენა სანაპიროზე. ზღვის დონიდან 28 მეტრზე, ტერიტორია იშლება მდ. რიონისპირეთიდან უნაგირას მთის ორივე კალთაზეა წარმოდგენილი. სენაკის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩხოროწყის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით მარტვილის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით აბაშის მუნიციპალიტეტი, ხოლო დასავლეთით ხობის მუნიციპალიტეტი. სენაკის მუნიციპალიტეტის ფართობია 520.7 კმ².

სენაკში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. ნალექების მაქსიმუმი მოდის ზაფხულ-შემოდგომაზე. ხასიათდება რბილი, თბილი ზამთარით და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 14,5°C, იანვრისა 5,4°C, აგვისტოს თვის 22,8°C. ნალექები 1670 მმ წელიწადში.

კვლევა განხორციელდა, რათა შეგვეფასებინა აბაშისა და სენაკის სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების გონივრული მართვა; შევარჩიეთ სადემონსტრაციო პოლიგონზე – სამელიორაციო (საცდელი) და არამელიორირებული (საკონტროლო) უბნები; განხორციელეთ საველე-სარეკოგნოსცირებელი კვლევები; ნიადაგების სინჯები აღებული იქნა ლაბორატორიული ანალიზისათვის და პორტატული ლაბორატორიული ხელსწყოებით განისაზღვრა ზოგიერთი (NPK, Mn, pH) პარამეტრი, რომელიც ნორმის ფარგლებში იყო; განხორციელდა სასუქების შეტანა ნიადაგში და საღათის, ისპანახის დათესვა, მცენარის დინამიკაზე დაკვირვების მიზნით; პორტატული ლაბორატორიის გამოყენებით ასევე განისაზღვრა ნიადაგში და მცენარეებში ქიმიური პარამეტრები;

კვლევებით დადგინდა, რომ აბაშის სადემონსტრაციო ობიექტზე ნიადაგის რეაქცია არის სუსტი ტუტე. ნიადაგი არის ალუვიური, კარბონატული, შთანთქმული ფუძეების ჯამი მაღალია, ჰორიზონტების მიხედვით მატულობს 18,1 მგ/ეკვ-დან 24,7 მგ/ეკვ-მდე 100გ ნიადაგში. ჰიდროლიზებადი აზოტი, რომელშიც მონაწილეობს ნიტრატული, ნიტრიტული, ამონიაკური და საერთო აზოტის ის ნაწილი, რომელიც დაშლის პროცესშია და გადადის მინერალურში, ფოსფორით და კალიუმით საშუალოდ უზრუნველყოფილია. ჰუმუსის შემცველობა დაბალია 3,20%.

სენაკის სადემონსტრაციო ობიექტზე ნიადაგი არის ნეიტრალური სუსტი ტუტე რეაქციის, შთანთქმული ფუძეების ჯამი მაღალია და სიღრმის მიხედვით იზრდება 21,4-352 მგ/ეკვ-მდე. ნიადაგი უზრუნველყოფილია აზოტით, ფოსფორით და კალიუმით. ჰიდროლიზებადი აზოტი სიღრმის მიხედვით იზრდება, ფოსფორი და კალიუმი კი პირიქით. ნიადაგში ჰუმუსი მერყეობს 2,98-დან-0,95%-მდე, სიღრმის მიხედვით კი მცირდება. ჰუმუსის მიხედვით ნიადაგი არის დაბალნაყოფიერი.

საქართველოს დაშრობილი მიწების საპროექტო საერთო ფართობი შეადგენს 119,76 ათას ჰა-ს, აქედან გურიაში 17,395 ათასი ჰა, სამეგრელოში 72,97 ათასი ჰა (მათ შორის აბაშის და სენაკის მუნიციპალიტეტებში შესაბამისად 15,43 და 13,06 ათასი ჰა), აჭარაში 3,09 ათასი ჰა, იმერეთში 5,59 ათასი ჰა, შიდა ქართლში 0,42 ათასი ჰა, მცხეთა-მთიანეთში 3,0 ათასი ჰა, კახეთში 17,29 ათასი ჰა.

ქვეყანაში ფაქტიურად დაშრობილი ფართობები ტოლია 39,2 ათასი ჰა, მათ შორის აბაშის მუნიციპალიტეტში - 5,62 ათასი ჰა, ხოლო სენაკის მუნიციპალიტეტში -3,7 ათასი ჰა. შესაბამისად ფაქტიურად დაშრობილი ფართობი საქართველოში შეადგენს საპროექტო სიდიდის 32,75 % (მათ შორის აბაშის მუნიციპალიტეტში - 36,4 %, სენაკის მუნიციპალიტეტში - 28,3 %). ესეთი მნიშვნელოვანი სხვაობა დაშრობის საპროექტო და ფაქტიურ ფართობებს შორის აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით,

რომელთა შორის აღსანიშნავია სამელიორაციო ფონდების არაეფექტური ექსპლუატაცია, დაშრობილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით სარგებლობის ობიექტურად დადგენილი ტარიფების არარსებობა და სხვა. აქედან გამომდინარე, საკუთრების ახალ ფორმებზე და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით აუცილებელია დაზუსტდეს დამშრობი სისტემების საექსპლუატაციო ღონისძიებების სისტემა და განისაზღვროს დამშრობილი სავარგულებით სარგებლობის ტარიფები;

კოლხეთის დაბლობზე განხორციელებული მელიორაციული ღონისძიებების დანიშნულებაა: ჭარბტენიანი მიწების წყალ-ჰაეროვანი რეჟიმის რეგულირება, კულტურ-ტექნიკურ და მაღალ აგროტექნიკურ ღონისძიებებთან კომპლექსში მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ნიადაგის ტენიის რაციონალური განაწილება დროში, აერაციისა და ნიადაგში მიმდინარე ჟანგვითი პროცესების ინტენსივობის, გაზრდა ნიადაგწარმოქმნისა და აგრობიოლოგიური პროცესების საჭირო მიმართულებით წარმართვა.

დამშრობი სისტემების ეფექტური ფუნქციონირებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები: დასაბუთებული საპროექტო გადაწყვეტილებების განუხრელად დაცვა; წყალშემკრები და წყალგამყვანი დამშრობი ქსელით დამშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის, შეტბორვებისა და შეგუბებების გარეშე შეუფერხებელი გაყვანისა; წყალმიმღებისა და წყალგამყვანი არხების კალაპოტებში მცენარეულობის, დალეილი ნატანის, მცენარეთა ფესვების და გარეშე საგნების (რომლებიც ხელს უშლიან არხების ნორმალური რეჟიმით ფუნქციონირებას) დაგროვების არდაშვება; დამშრობი არხების მდგრადი განივი და გრძივი საპროექტო პროფილების, დამშრობ სისტემაზე არსებული ნაგებობების, საექსპლუატაციო გზების ქსელის, შემომზღუდავი დამშებების, შიდა ინფრასტრუქტურის ნორმალური ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნება;

სამეგრელოს რეგიონში დამშრობი სისტემების წლიური საექსპლუატაციო ხარჯების საშუალო სიდიდე (პერიოდულ-აღდგენითი რემონტების გარეშე) 2019 წელს 606,74 ათას ლარს, ხოლო 2020 წელს - 1194,57 ათას ლარს. ფაქტიურად დამშრობილ 1 ჰა ფართობზე წლიური ხარჯების სიდიდე შესაბამისად განისაზღვრა 2019 წელს 32,5 ლარით, ხოლო 2020 წელს 64 ლარით, საშუალოდ 48 ლარი. აქედან გამომდინარე, დამშრობილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით ფასიანი სარგებლობის დანერგვის პირველ ეტაპზე 48 ლარი/ჰა შესაძლებელია მიღებული იქნას ტარიფად. მომავალში, დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის პროცესის გადმავების და შესაბამისად დამშრობილი მიწების ფართობის ზრდასთან დაკავშირებით დამშრობილი სავარგულებით სარგებლობის ტარიფის სიდიდე შეიძლება მნიშვნელოვნად გაკორექტირდეს;

აბაშის და სენაკის მუნიციპალიტეტების დამშრობი სისტემების ეკონომიკური ეფექტიანობა გამოთვლილი იყო დასაშრობი ფართობის 1 ჰა-სთვის. ყოველ 1 ჰა დასაშრობ ფართობზე 6,0 ათასი ლარის ოდენობით ერთდოული კაპიტალდაბანდება ოცწლიანი ექსპლუატაციის განმავლობაში იძლევა 13,73 ათასი ლარი სუფთა დაყვანილი ეფექტის (NPV) აკუმულირების საშუალებას. რაც შეეხება ინვესტიციების მოგების შიდა ნორმას, მისი სიდიდე ტოლია 37 %, რაც ადასტურებს დამშრობი მელიორაციული ღონისძიებების მაღალ ეფექტურობას და მათი ჩატარების აუცილებლობას.

5. სამრეწველო საწარმოები ეკოსისტემაში ყოველწლიურად გამოტყორცნიან მილიონობით ტონა მძიმე ლითონებს, რომლებიც გარემოში მოხვედრის ინტენსივობის მიხედვით ქმნიან შემდეგ რიგს: Cu, Pb, Co, Fe და Zn. 1980 წლიდან დღემდე საწარმოებისა და ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გაფანტულ იქნა უფრო მეტი რაოდენობით ტყვია, ვიდრე მთელი დანარჩენი ისტორიის არსებობის მანძილზე. ამჟამად არსებული დაბინძურების ყველა ბუნებრივი წყარო (ვულკანები, ტყის ხანძრები და სხვ), ადამიანის მოღვაწეობასთან შედარებით, გადასულია მეორე ადგილზე, ვინაიდან ისინი აფრქვევენ ტყვიას 18,3-ჯერ, კადმიუმს 8,8-ჯერ, თუთიას 7,2-ჯერ ნაკლები რაოდენობით.

სასარგებლო წიაღისეულის ინტენსიური ამოღება გარემოს იმდენად აბინძურებს, რომ მის გარშემო არსებულ ნიადაგებზე მოყვანილი კვების პროდუქტები ხშირ შემთხვევაში ძალზე მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის.

გარემოს დაბინძურების მხრივ სავალალო მდგომარეობაა საწარმოო ნარჩენების მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების მიმდებარედ. ამის ნათელი მაგალითია მდინარე ყვირილა, რომელიც ბინძურდება მადაროს ნარეცხი წყლებით. მდინარე ყვირილას წყალში შეწონილი, ჯანმრთელობისათვის საშიში მინარევების დონე (ჰაერში - მანგანუმის დიოქსიდი და ტრიოქსიდი, მძიმე მეტალების ოქსიდები, წყალში - მანგანუმის, რკინის, ნიკელის და სხვა მძიმე ლითონთა ნიტრატები, ნიადაგში - კადმიუმის, დარიშხანის, კობალტის, სპილენძის, თუთიის, მანგანუმის, რკინის, ნიკელის, ალუმინის, კალიუმის და ტყვიის შემცველობა) რამდენიმე ასეულჯერ აღემატება ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას.

კვლევის მიზანს წარმოადგენს მდინარე ყვირილის წყალშემკრებ აუზში ეკოლოგიური მდგომარეობის მეცნიერული შესწავლა და მისი წილის განსაზღვრა შავი ზღვის დაბინძურებაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელდა სავსე სამეცნიერო კვლევები მდინარე ყვირილას წყალშემკრებ აუზში. გამოკვლეული იქნა როგორც მდინარის წყალი, ასევე ფსკერული ნალექები.

სავსე-საექსპედიციო კვლევები ჩატარდა 2023 წლის განმავლობაში 4 ჯერ (თებერვლის, ივლისის, სექტემბრის და ნოემბრის თვეებში). სავსე კვლევების დროს მოხდა ტერიტორიის დათვალიერება, წერტილების შერჩევა და საანალიზო ნიმუშების აღება.

ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი #1 და #2 –ში.

ცხრილი 1. Mn შემცველობა მდინარის წყალში მგ/ლ 2023 წელს განხორციელებული კვლევების შედეგების მიხედვით

სინჯის ადგილი სინჯის აღების დრო	ყვირილა ჭიათურამდე	დარკვეთი	ჯრუჭულა	პეროფი
თებერვალი	0,45	1,4	0,2	0,9
ივლისი	0,55	1,6	0,25	0,9
სექტემბერი	0,61	0,5	0,3	0,85
ნოემბერი	0,52	1,4	0,4	0,75

ცხრილი 2. Mn –ის შემცველობა მდინარე ყვირილისა და მისი შენაერთების ფსკერულ ნალექებში ppm 2023 წელს განხორციელებული კვლევების შედეგების მიხედვით.

სინჯის ადგილი სინჯის აღების დრო	ყვირილა სარეკთან	შუქრუთი	ჯრუჭულა
თებერვალი	78000	1200	7650
ივნისი	88500	1300	7550
სექტემბერი	87700	1004	7900
ნოემბერი	80200	1010	9700

კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ მანგანუმის ძირითადად წყალში შეწონილი მდგომარეობით გზვდება, ვიდრე გახსნილი სახით და რიგ შემთხვევებზე 20–25 ჯერ აჭარბებს ზღვ-ს.

ასევე აღსანიშნავია, რომ მანგანუმთან ერთად გაზრდილია სხვა მეტალების რაოდენობას, მაგალითად ნიკელის, რომელიც მანგანუმის თანმდევ მეტალს წარმოადგენს.

მდინარის ფსკერულ ნალექებში ასევე გაზრდილია რკინის, კობალტის, სპილენძის და კადმიუმის შემცველობაც.

მდინარე ყვირილას დაბინძურების წყაროს წარმოადგენს, მადნის მომპოვებელი ქარხნის ჩამდინარე წყლები, მდინარის ნაპირების სიახლოვეს განთავსებული ნარჩენები და კუდები, რომელიც ზედაპირული წყლებით ჩაირეცხება და ხვდება მდინარეში.

6. საველე სამეცნიერო კვლევები:

I. ღვარცოფსარეგულაციო ელასტიური ბარაჟი

2023 წელს გაგრძელდა საველე სამეცნიერო კვლევები მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში 2022 წელს აშენებულ ღვარცოფსარეგულაციო ელასტიური ბარაჟის კონსტრუქციაზე. 2023 წლის მაის-ივნისის თვეში ინტენსიური წვიმების შედეგად მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში არსებულ ეროზიულ ღრანტეში წარმოიშვა ტურბულენტური ღვარცოფი, რომელმაც მოძრაობა დაიწყო ნაგებობის მიმართულებით. ღვარცოფმა დინამიკური დარტყმის ძალით იმოქმედა ნაგებობაზე. ნაგებობამ იმუშავა საიმედოდ, არ გამოვიდა მწყობრიდან და ნაგებობის გამჭოლობიდან გამომდინარე წვრილი ფრაქციები წყლის ნაკადთან ერთად გაატარა ქვედა ბიეფში (იხ. ფოტო 1.).



ფოტო 1. ღვარცოფსარეგულაციო ელასტიური ბარაჟი
ა) ღვარცოფის გავლამდე; ბ) ღვარცოფის გავლის შემდეგ

ღვარცოფის გავლის შემდეგ მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში დაფიქსირებული იქნა შემდეგი პარამეტრები: ნაგებობამ შეაკავა 112 მ³ ინერტული მასა, ნაგებობის ზედა ბიეფში ღვარცოფული მასის სიგრძე 30 მ. ნაგებობაზე ღვარცოფული მასის სიმაღლე 1 მ. ტრანსპორტირებული ყველაზე დიდი ქვის წონა - 1,19 ტონა.

მდინარის კალაპოტის ქანობი ღვარცოფის გავლამდე 15°, ხოლო ნაგებობის ზედა ბიეფში დაგროვილი მყარი ფრაქციების ზედაპირის გამაწონასწორებელი ქანობის მნიშვნელობა იცვლება 4°-11°-ით.

ღვარცოფის გავლის შემდეგ მდინარე მლეთის ხევის წყალშემკრები აუზის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით განხორციელდა საერთაშორისო კვლევები, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიეტუას, რუსეთის, უზბეკეთის, თურქეთის, პოლონეთის, იტალიის, სლოვაკეთის და სომხეთის მეცნიერ სპეციალისტები. თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენებით (დრონი, GIS - პროგრამა) განხორციელდა მდინარე მლეთის ხევის წყალშემკრები აუზის დრონით მოდელირება (ფოტო 2.). ბუნებრივი მონაცემების გამოყენებით ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობის მიერ ღვარცოფული მასის მოცულობა გაანგარიშებული იყო დამოკიდებულებით აკადემიკოს გივი გავარდაშვილის მიერ, რომელიც მოცემულია (1) ფორმულის სახით:

$$W_t / W_T = [0,90 + 0,10(\bar{d}/\Delta)^{1,51}] (t/T)^{2,34} \quad (1)$$

